ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3120974

ნომერი: AR1480541

თარიღი : 21.02.2017

გაცემის თარიღი : 28.02.2017

გაცნობის თარიღი : 28.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მ/რ, V კვარტალი N25ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ ბერაია პ/ნ 62001017630
- თბილისი,ქავთარაძის #25

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. " ა.რ.ტ." კოდი: 404468820

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 21 თებერვლის #AR1480541 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.12.05.001.069 მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს ასაშენებლად უკვე მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (ბრძანება №2483278) ცვლილების განხორციელება, კერძოდ ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებაში აირსავსების საკომპრესორო სადგურის დამატებას გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს–1) – ში, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ 2016 წლის 26 მაისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39დადგენილების #15 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის
განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს;

ზემოთაღნშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას რადგან აღნიშნულ ზონაში ახალი ნორმატივების შესაბამისად აირსავსების საკომპრესორო სადგურის მშენებლობა დაუშვებელია.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.